


პორვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა კეივერსმა სხვა პირებთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი ატომური ენერჯის გამოყენების შესახებ.



- როგორ?! თქვენც ეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ატომური ენერჯია?..
- დიახ, დიახ. ჩვენც დავამუშავეთ კანონპროექტი, რათა აიკრძალოს ატომური ენერჯის გამოყენება... მშვიდობიანი მიზნებისათვის.
- ახ!.. ეს უკვე გახაგებია!.. ასეთ აკრძალვას ამერიკის სამხედრო წრეებიც მხარს დაუჭერენ, ბატონო პროფესორო!

საბუნებისმეტყველო

**ჰენს
პრისტონი
ანდერსენი**



(1805-1875)

სხვებთან ერთად „ნიანგიც“ გულითადი სიყვარულით აღნიშნავს დიდი დანიელი მწერლის პ. ანდერსენის დაბადების 150 წლისთავს.

„ყველაფერს მირჩევნია ანდერსენის ღიმილი“, — თქვა დიკენსმა. დიდი მოზღაპრის ეს მზიარული ღიმილი, ჯანსაღი იუმორი, რაც ხშირად სოციალურ სატირაში გადადის, დღესაც პროგრესის საქმეს ემსახურება.

ვბეჭდავთ ანდერსენის ერთ სატირულ ზღაპარს ლექსად.

ქოქოების გლაპარაკი

მეკალათე კალათს წნავდა, მორჩა, ღმერთმა ინება! ვერ იტყოდით, რომ შედეგრი იყო მისი ქმნილება, მაგრამ არა უწავდა რა, ჰქონდა შნო და ლაზათი, — კალათობას ხომ გასწევდა, როგორც ყველა კალათი!

„—მადლობა ღმერთს! — ცოლს მიმართა, — საუცხოო წნულია!“ ცოლმა ერთი გადახედა, განურჩევლად სრულიად...

„—რას გაჩუმდი, დედაკაცო, რა ფეხზე ხარ ამდგარი? თქვი: — მადლობა უფალსა-თქო, რომ კალათი მზად არი!“

„არაფერსაც მე არ ვიტყვი ამის მაგვარს სრულიად! აბა, რალად უნდა გითხრა ის, რაც უკვე თქმულია?“
„—თქვი!“ „—არ ვიტყვი!“ — შეხტა ქმარი: უყურეთო ამ ოხერს! და ამბავი მით დასრულდა, რომ ეს ქალი გაჯოხეს.

მეზობლის ქალს გაეგონა ჯოხის ხმა და წივილი, მოვარდა და მოისმინა მოტირალის ჩივილი.
„—ამისათვის როგორა გცემს ეს არ გასახარებები?“ — უთხრა ქალს და ბრაზმორევით გაიხურა კარები.

„—ასეთ ქმართან ვინ იცხოვრებს!“ — თქვა მან, შინ რომ შევიდა.

„—შემცდარი ხარ! უპასუხა ქმარმა თავის ქნევითა. — აქ ცოლია დამნაშავე, ქმარს არ უნდა გინება! — უნდა ეთქვა: „მზად არისო!“ რატომ ეს არ ინება?“

ნან. ა. მახინაძე
ქრონიკული
ბიბლიოთეკა



— ჩვენს მილიონებს წინ ალუდგნენ მილიონები!

„—იმიტომ, რომ ზედმეტია! რა გახდა ეს კალათი? მე თვითონაც არ ვიტყოდი ასეთ რამეს ძალათი.“
„—არ იტყოდი? თუკი შენმა ქმარმა აგრე ინება? მაშ მეც ჯოხით დამჭირდება ამის გაგებინება.“

„—სწორედ გითხრა, ამდაგვარი არა გამიგია რა! მსგავსი მხეცი ბევრი ვიცი, მსგავსი ქმარი კი არა!“
„—მაშ არ იტყვი:“ მადლობა ღმერთს, რომ კალათი მზად არი!“
„—არც ვიტყვი და არცა ვფიქრობ! ცეცხლი მას და ლადარი!“

აქ აივსო მამაკაცის მოთინების ფიალა და ჯიუტი ცოლის ზურგზე ჯოხი დაატრიალა.

ღრიანცელზე შემოვარდა სხვა მეზობლის ქალი და დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ მოხდა თავიდან,
„—სულ ტყუილად ყოფილხართო, — უთხრა, — აბა, ნაცემი! ქალის ღირსიც არ არიან მსგავსი მამაკაცები!“

წავიდა და რისხვის ნიშნად ფიცხლავ კარი დახურა, შინ დაბრუნდა, ქმარს უამბო — ჯოხი დაიმსახურა. და, ამრიგად, ამ ქალაქში საქმე ასე წავიდა: ყველა სახლში ცოლის ცემა იწყებოდა თავიდან.

არა, მართლა, გაგონილა, საქმე ამის სადარი? — ქმარმა ცოლს ვერ შეასმინოს, რომ კალათი მზად არი! სამეფოში ამისი თქმა ერთმაც რომ არ ინება! სულ ამას იყო ქმართა ცდა და მოწადინება.

ყველა ერთი ჭკუის ჩანდა: რაკი ქალს არ ეწადა, კაცი სძლევდა, კაცი სცემდა, იქცეოდა მხეცადა. მაგრამ, თუ ეს სიმართლეა, სამართალი სად არი? ცოლსა ჰკითხეთ. მე არ ვიცი: აქ თავდება ზღაპარი.

ცოლს აკოცე, მაგრამ ნუ სცემ, მოიშალე ეგ ჩევეა, თორემ ჯოხით მალე ცოლი — თვითონ ჯოხად გექცევა.
თარგმნა აპაქი ზქაძელაძე

ჩუჩები, და ნახაყნი ჩუჩები...

თქვენ უთუოდ ბევრი ასეთი ქუჩა გინახავთ, ხშირად ხიფათშიც ჩაგარდნილხართ ასეთ ქუჩებში სიარულის დროს, — არ იცით ასეთ ანგრეულ ქუჩებში კისერს როდის მოიტყებთ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი მშვენიერი თბილისის მშვენიერ ქუჩებს ათასნაირი „მომწესრიგებელი“ ჰყავს.


აიღეთ თუნდაც საერთო სამშენებლო ტრესტის №1 მეხუთე სამშენებლო სამმართველოს „მომწესრიგებელი“ საქმიანობა, მან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბარათაშვილის ხიდს ქვემოთ კოლექტორის გაყვანის დროს საკანალიზაციო მილები გადასჭრა და დიდხანს არ შეუერთებია. ეს კიდევ არაფერი, ორ თვეზე მეტია, რაც ამავე ხიდთან ქუჩა გათხარა, შიგ სარწყავი მილები ჩაყარა და მიწამიუყრელად მიატოვა. არც ეს იკმარა, სამი თვის წინად № 8 აბანოს მისასვლელთან სანიადგრე კოლექტორის შენების დროს, რკინის მესერი მოხსნა და დღემდე არ აღუდგენია.

„ტრანსწყალმშენის“ მეორე სამშენებლო სამმართველომ ასე „მოაწესრიგა“: სამ თვეზე მეტია, რაც მტკვრის ქუჩა გათხარა და დღემდე ოღროზოდ არის მიგდებული; მოლოტოვის რაიონში აბაშიძის ქუჩა ერთი წლის წინათ გაითხარა ბულაჩაურის წყალსადენისათვის. დღემდე იგი მიწით არავის ამოუვსია. ასევე მოექცნენ პეტრიაშვილის ქუჩას: გათხარეს, წუმბისა და ტალახის ბუდედ აქციეს და მიატოვეს.

თბილისის ულამაზესი ქალაქია, თბილისში ლამაზი ქუჩებია, ჯერ კიდევ გაუთხრელ-დაუნგრეველი ქუჩები. ვინ იცის კიდევ რამდენი სამშენებლო ორგანიზაცია ემუქრება ამ ლამაზ ქუჩებს.

შენება კარგი საქმეა. იგი ჩვენი ხალხის კეთილდღეობას ემსახურება, მაგრამ ხომ შეიძლება მშენებლობისათვის გადათხრილი ქუჩები დროულად გასწორდეს და მოწესრიგდეს, რომ მასზე უხიფათოდ გაიაროს კაცმა!

დ. თბილელი



რაიონში წახვლა არ სურს, არ სურს ხელი „გაიძალოს“, განა ცოტა მაკონტრი იაუღლება თავის ახლოს?



უფრო მეტად ხვდა რა დაღლის, პატრონია ორი ძაღლის.



იქნებ იცნობთ ამის პატრონს, რა კაცია, ან რა ჰქვია, — ჩანს, ქალაქში მოძრაობის ყველა წესი დაარღვია.




უბატონოდ ხელს ვინ ახლებს? ზრდის ოჯახში მლოქვენულ ძაღლებს.



არ ჩათვალთ უსაკმურად. აჟდა ჰყავს ამ ქალს მურა.



დაბუთ ურწახ, ვეტიკშიც ვერ გაიგებს რა ჯიშია, — მაგრამ ყველა უფროსიღლება, — პატრონივით საშინაო!..



რომელია საექიმო? — შიხვდით, მინდა გავეღიმო.



— ჩემს მოსწამდე მოვეყამ აქვნი ცეპი, ჩემი ღრუჭუნაჲ, მაშინ ხომ არ მომხინდენ და არც ამ შენს წუმბეში გამომეღებებოდა ღვინო გაღვინდის.

ჩვენი იმეათია ისეთი სოფელი, სადაც კაცს „საცინიბა“ სახელი არ ერქვას. ზოგან ამას „კელს“ უწოდებენ, ზოგან — „მესახსებს“, მაგრამ ფაქტი ნიჟინ ისაა, არც კაცს უპირველეს სოფელს, საბრძანებროს სახელწოდებით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი, სავსაშროკო სახელით, ეს ახარებულნი ჩვეულმა, რაც თავისი თავად ზუმრობის ერთ სახეს წარმოადგენს, ზოგჯერ გავეტბრობის მიზეზიც ხდება.

ამ დღეებში დახვეწილი წერილი გადაგზავნი ახეთში. პასუხში დაიგვიანა, დრო არ იომებდა და თვითონ წავედი. სწორად ჩემი ჩასვლის დღეს მოუტანეს ბარათი ჩემს ადრესტსა და ითი ქვენი წერილის გამოგზავნა მოასწრო ჩანსოლა. რას ვაგას, მთელი კვირით რომ დაავიანიე მოტანა? — საყვედური მიმართა დათამ ფოსტალიონს. — მაგ წერილის გამოგზავნის შეატყობინე, რომ შენი სახელი სწორად დაიწეროს კონვერტს.

— გამოგზავნიც აქ არის და მეც აქ ვარ: სწორად ჩემი სახელი და გვარი სწორია კონვერტზე. — არ სწვია, ნამდვილად არ სწვია! — მე დავით ქვენიწვილი ვარ თუ არა? — არა, შენ გოდროს ხარ. დავითი თუ გერქვი, არც კი ვიცოდ. მხოლოდ ახლა მითხვარს სოფსამბუში, გოდროა — დავით ქვენიწვილიაო. ერთი კვირაა წერილი ჩანთაში მიდგეს, არ ვიცოდი ვისთვის გადამეცა. ახლა კი — შენც სწორად შეგიტანე ჩემს სახელს, ამას იქით აღარ შევდგები.

ფოსტალიონმა გვიჩვენა სოფლის მცხოვრებელთა სა, რომლის ბოლოში მართლაც უწერა: „დავით ქვენიწვილი — გოდროა“.



ნ.ბ. ს. აბაშიძის



— რას შერბი, კაცო. ამ შესანიშნავ ზეგებს ჩიხობის გრა? — ადგლი მინდა გავათვისოფლო. წლებადელი გინებით 300 ძირი ჩერვა უნდა დაერგო და ფარობი ან მყოფინი.

2010

მე, იპოპომისხე, რა ვაძინებ, ბაბო

ამს წინაო, სახანაბრბიგო მთავლობის გამო, წითელწყობის რაიონის სოფ. განარჯუბაში ამოუყვი თავი. აქ რუსული სასწავლო ვიფი, მაგრამ სოფელი შესვენაბოა, — მიიდან ჩამოხედა ხალხი მომავალად და განხილული.

საღამო ხანი იყო. წელი ნახევარი მივეყვანი სოფლის ბრობოლს... — გაი — დაილოტილ უცებ და მომეტანა — სადაც ხომაში ჩავეყვი. თურქე მე წე იტყვიო, მთელი სოფლის შაირბრობებში სასწავლო წელის მოწოდებერი არსებობდა კოფლა და ქსელური და წე ჩავაგდოდი. მთელი ღამის განმავლობაში ამოვი მოუძებოდი მწველურებს. დღითი დღისიწინა ადამიანებს ამომართის. — ექიმთან მიმთვინებო. — მეოქი, ამოვიწყალ დასუტებეო.

— საღამო ხანი იყო. წელი ნახევარი მივეყვანი სოფლის ბრობოლს... — გაი — დაილოტილ უცებ და მომეტანა — სადაც ხომაში ჩავეყვი. თურქე მე წე იტყვიო, მთელი სოფლის შაირბრობებში სასწავლო წელის მოწოდებერი არსებობდა კოფლა და ქსელური და წე ჩავაგდოდი. მთელი ღამის განმავლობაში ამოვი მოუძებოდი მწველურებს. დღითი დღისიწინა ადამიანებს ამომართის. — ექიმთან მიმთვინებო. — მეოქი, ამოვიწყალ დასუტებეო.



შეთახებით მომწვენიანებს დასურიაბა

ნიკო ბიბოშვილი

მე, იპოპომისხე, რა ვაძინებ, ბაბო

უფარს სისუფთავე... ე. წ. ნიკოვლისში. მართლაც იგი კოლმეურნობის თანდამამა, და ზოგჯერ ტალახე უნდა დაიხაროს. (მას ხომ ნაწილას აქვს უნებლად სავსე). მაგრამ იმეათად მოხდა, რომ ნიკოვლისში კავთევილიანდ ფეხი გადაუცდეს.

ქალა, ასეთი სისუფთავის მოვეყვილი კაცი კოლმეურნობის შესაქმნლობის ფერმაში იმეათად შეუხადეს. თუქი, განიხილონა ფერმა ზოგჯერითი ფერმა ისე კრიალად, ისე მათქმობს.

მაგრამ ნიკოვლისიანი კოლმეურნობის ფერმა წე იტყვიო ამ მტრისე: უკუთა სიბინჯერე, ანგინანტერია... ცხვარი, ნიკოვლისნი ქველი რომ შედეს, ხელს ჩავეყვი და იქ კი არ შევა, ვითო ტალახანი ექლი მოიშობის ძროხაში... მოგებეყვანი, ჩემი თვითარი, გუმპერტოლი სიხებ, მწუღად რომ შეე

3. მთელიამ



— აქ, ნეტა მართო ჩვენი გაჩივება, ცავ, თუ „ტაქსიც“ ჩერდება ელანძე?

ლიჩაქშია ავგომანქანიდან

ნახ. თ. ჯიშკარიანისა



— რაიონში გამომიძახეს, შეიძლება კომისია წამომყვებს. გახსოვდეს, ყველაფერი წესრიგში მოიყვანე. — კი ბატონო, გოკები გვყავს და ღვინო გვაქვს, თუ საჭირო იქნება თხასაც წავაკლავთ.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 1036 ახალგაზრდა ექიმმა დაამთავრა. მათი უმეტესი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის შიგნით განაწილდა, განაწილდა და...

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცნობით, დღესდღეობით საქართველოში 284-ნახევარი ექიმის ადგილია თავისუფალი.

აქ მისაღები არ არის ის გარემოება, რომ ჩვენს რაიონებში ზოგჯერ ორი ადგილი, შეთავსებით, ერთ ექიმს უჭირავს; რომ არც ისაა იშვიათი შემთხვევა, როდესაც კბილის ექიმი თერაპევტის მოვალეობას ასრულებს, ხოლო ყელყურის ექიმი — ქირურგისას!..

როგორც კი სამედიცინო ინსტიტუტის დასამთავრებლად გამზადებულ სტუდენტების განაწილება იწყება, იწყება დედებისა და ნამების, ბიძებისა და ბიძოლების სირბილი, ბრძოლა, თხოვნა, ზედარა, გაღვნიანი ნაცნობ-ნათესავების ავტორიტეტის გამოყენება და... რაიონებში გასამგზავრებლად გამზადებულ ახალ კადრებს საგრძნობი ნაწილი აკლდება.

გაივლის განაწილების ციებ-ცხელება და ქარიშხალი. პატიოსანი ახალგაზრდა ექიმები თავიანთი საგზურებით განაწილებულ ადგილებში ცხადდებიან, ხოლო განაწილებიდან თავდამძვრალნი — თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მისაღებ ოთახში მოკალათდებიან. იქ თავმოყრილი უმუშევარი ექიმები ეყოფა ორ საქართველოს... ხშირად თბილისშიც ეწყობიან საბუშაოდ, ზოგი მეოთხედ ადგილზე, ზოგი უფასოდ სტაჯიორად...

როგორც კი თვალს გადაავლებთ თბილისში დარჩენილ უმუშევარ თუ საბუშაოზე მოწყობილ ახალგაზრდა ექიმებს, აღმოჩნდება, რომ მათი უმეტესობა სამედიცინო მეცნიერებაში სახელგანთქმულ პროფესორებისა თუ დოცენტების შვილები არიან.

უმუშევარი ექიმები: ცილა ტყემალაძე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ქალიშვილია, გრიგოლ ქუთათელიაძე — მედიც. მეცნიერებათა დოქტორის ვაჟიშვილი... და ამრიგად და ასე შემდეგ...

ახლა კლინიკურ ორდინატურაში ჩაიხედოთ: ორდინატურა სპეციალურად მაღალკვალიფიციურ ექიმებს ამზადებს რაიონებისათვის. ორდინატურაში შემსვლელნი ხელწერილებსაც კი სდებენ, სწავლის დამთავრების შემდეგ რაიონებში წავალთო, მაგრამ...

ქირურგიული ორდინატურადამთავრებული ექიმი შოთა ხეცურიანი მოეწყო... „ტოდოს“ ფეხბურთელთა გუნდში. ოთარ და ჯუანშერ კანდელაკები საერთოდ უარს აცხადებენ თბილისიდან ფეხის გადადგმაზე, ხოლო ევგენია ბერუაშვილი, რომელიც ორდინატურაში შესვლამდე დუშეთში ორდინატორად მუშაობდა, ახლა უარს ამბობს, რომ კვლავ დუშეთში გაემგზავროს საავადმყოფოს განყოფილების გამგედ... და ჯერჯერობით ისინი დაუსჯელნი დადიან!..

უკანასკნელ წლებში 105 ორდინატურადამთავრებულ ექიმიდან თბილისში 42 ექიმი მოეწყო, ხოლო 16 სრულიად არ მუშაობს... და ეს სპეციალური ხელწერილისა და პირობის დადების შემდეგ...

ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ საქართველოში, სადაც ასე ქარბად არიან ექიმები, 284-ნახევარი ადგილი თავისუფალი და დაუკომპლექტებელი იყოს!..

საქართველო საბურობა

დღის ორი საათია. მატარებელი № 61 როსტოვი-თბილისი ქართლის ველებზე მიეჩანება. მატარებლის პირველი ვაგონის პირველ კუბეში მოლარე ქალს დინავს. სამი დღეა ბორჯომში მორიგეობდა და ახლა ისვენებს.

კუბეში შემოდის რევიზორ-კონტროლიორი, მას თან მოჰყვება ვაგონის გამცილებელი. რევიზორი გადახედავს მძინარე ქალს, სახეზე ღიმილი აუთამაშდება, მივა ქალთან, მაჯიდან ღიმილით საათს მოხსნის და...

მატარებელი ქარელს გასცილდება. ქალს ეღვიძება. მას დასცინიან: „საათი შენმა მეგობარმა რევიზორმა მოგხსნაო...“

იწყება რევიზორის ძებნა. იგი ქარელში ჩასულა.

რადგან თბილისში ჩასვლამდე არც რევიზორის ასავალ-დასავალი განიხილა და არც საათი, ქალი დატრიალდა. დადგინდა რევიზორ-კონტროლიორის ვვარი—ვ. ჯუღელი.

დაიწყო ძიება.

გამოძიებით თითქოს დადასტურდა, რომ მოლარე და რევიზორი კარგი მეგობრები იყვნენ, თუმცა ეს ვერსია შეწყვეტა ვ. ჯუღელმა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ი. ქარუმიძის კაბინეტში უარყო.

ვ. ჯუღელი საათის მოხსნის ფაქტს ადასტურებს და გამოძიებელს ეუბნება: „ძეწკვი შეხსნილი იყო და მოლარეს საათი რომ არ დაკარგოდა, მოგხსენი, შემდეგ გავაღვიძე და უკან დაუბრუნეო“, ხოლო ქარუმიძის კაბინეტში აცხადებს: „მოლარეს საათი ხელჩართაში ჩაეუღო“. სასამართლოში კი ამტკიცებს: „არავითარი საათი არ მომიხსნიაო...“

გამოძიების მასალებში როსტოვ-თბილისის მატარებლის გამცილებლის ჩვენებაა („ვ. ჯუღელმა ქალს ნამდვილად მოხსნა საათიო“), იქვე მეორე რევიზორ-კონტროლიორის ახსნა-განმარტებაა („ვ. ჯუღელმა მოლარე გამოაღვიძა და საათი დაუბრუნაო“).


გ. სამხარაძე საათს მისტირის, ვ. ჯუღელი თავს იმართლებს.

კარგი ხუმრობაა. თქვენმა მზემ, რომელსაც ამდენი აყალბაყალი მოსდევს, მაგრამ ბოლო კი ჯერ არ მოჰყოლია!


გ. სიმონიშვილი



ბაკურიანში



ქალღი: ამ... ამ... ამ სასადილოში ცხვარსა და ღორს რა უნდა!? ახლა ხომ არც ზამთრის სეზონია და არც ზაფხულის სეზონი...



საქსომოქალაქის ნანგრევები

ეს ნანგრევები, თავისებურად ისტორიული მნიშვნელობისაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი მშენებლობა დაიწყო არა ჩუპ... წელსა, არამედ ახლახან, სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლის წინათ.

სურათზე გამოხატულია ლანჩხუთის რაიონის სამრეწველო კომბინატის ადმინისტრაციული სახლის ნანგრევები. ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში მიწერ-მოწერის სახით 25 ფუთი ქალაქი დაიხარჯა. მრავალზე მრავალი დაპირება — დაპირებად დარჩა, შენობა კი — დაუმთავრებელი. 1953 წელს 300, 000 მანეთი გამოჰყვეს... მხოლოდ ქალაქდღე.

ხოლო შარშან საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ გაზედა და ლურსმანი მისცა ლანჩხუთელებს შენობის დასამთავრებლად.

დაპირებებითა და ლურსმნით რა სახლიც აშენდება, ეს ამ სურათზე შესანიშნავად მოჩანს. აქვე ჩანს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სახეც, რომელმაც თავისი უყურადღებობით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახლი, აშენების დაწყებისთანავე ხავსით დაფარულ ნანგრევებად აქცია!..

გ. ბარამიძე

ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „სოციალისტური შრომის“ რედაქტორი

საქსომოქალაქის სამსახურის ნანგრევები
134
16/11 55

რედაქტორი: კ ა რ ლ ი კ ა ლ ა ქ ი ა

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирако-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 7, ხელმოწ. დასაბ. 31/III-1955 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 137. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეკვ. № 421 უფ. 02560 ტირ. 25.000

თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება
ჩრდილო-ატლანტიკის ბლოკის დანაშაულია.
ვაზეთებიდან



საქრებულო

თუმცა საღ გონებას შორდება,
ზღაპრულ თვისებას ანიჭებს!
ამერიკული გაფრენა
თურქეთ-ერაყის ხალიჩებს,

